2-17269/25
11-12-2025

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მისი თანამდევი საქართველოს კანონების პროექტები: „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№223/2-XIმპ, 02.12.2025).

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2025 წლის 8 დეკემბრის N97/1-XIმპ გადაწყვეტილებით კანონპროექტების განმხილველ წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, ხოლო სავალდებულო კომიტეტად - საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, ასევე აღნიშნული კანონპროექტების გამარტივებული წესით საკომიტეტო განხილვის ვადად განსაზღვრულია 2025 წლის 12 დეკემბრამდე პერიოდი.

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის ავტორთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, განგვისაზღვროთ ხსენებული კანონპროექტების გამარტივებული წესით განხილვის ახალი ვადები.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ზაზა ლომინაძე